პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს

სხდომის ოქმი

30 ივნისი, 2014 წელი

(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ოთახი #218)

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორულ საკოორდინაციო საბჭოში“ ეროვნული პროფესიული საბჭოს წარმომადგენლის განსაზღვრის მიზნით, საბჭოს წევრთა კენჭისყრა;
2. პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფციის მიმოხილვა.
   მომხსენებელი:
   ნინო ქებურია, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამის კოორდინატორი;
3. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 2014 წლის 1 სექტემბრამდე ავტორიზებულად ჩათვლილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სავალდებულო ავტორიზაციის საკითხი – ინიციატორი: დანიელ დავითაშვილი, საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე.
   მომხსენებლები:
   - ელენე ჯიბლაძე, სსიპ–განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი;
   - გიორგი შალუტაშვილი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილე.

<u>სხდომის მონაწილეები</u>

	სახელი, გვარი	თანამდებობა
საბჭოს წევრის სტატუსით		
1	ქეთევან ნატრიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე
2	თეა გულუა	საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი
3	მარინა ჟვანია	სსიპ–განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსი

4	ნიკოლოზ მესხიშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი
5	ელგუჯა მელაძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი
6	ნათელა პაპუნაშვილი	სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ - დირექტორი
7	ირაკლი პეტრიაშვილი	საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე
8	გივი კახიშვილი	შემდუღებელთა და მასალათმცოდნეთა კავშირის აღმასრულებელი დირექტორი
9	დავით მელუა	საქართველოს ადგილობრივ თვითმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი
10	ჟაკო ჯორჯაძე	საქართველოს ბარმენთა ასოციაციის პრეზიდენტი
11	შორენა ჯაფარიძე	დამოუკიდებელი ექსპერტი
12	დანიელ დავითაშვილი	საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე
13	ქეთევან ჯაყელი	მუნიციპალური მომსახურების უზრუნველყოფის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი
14	თამარ ქიტიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
სხდომას ასევე ესწრებოდნენ:		
15	ელენე ჯიბლაძე	სსიპ–განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი
16	გიორგი შალუტაშვილი	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილე
17	ნინო ქებურია	სსიპ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამის კოორდინატორი
<u>სხდომას არ ესწრებოდნენ:</u>		
18	თამარ სანიკიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, საბჭოს თავჯდომარე
19	რატი ბრეგაძე	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე

20	ილია კვიტაიშვილი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე
21	თენგიზ შერგელაშვილი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე
22	მიხეილ ჯანელიძე	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე
23	გიორგი თაბუაშვილი	საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე
24	მარიამ ჯაში	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე
25	პაპუნა შენგელაია	ევროპულ და ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის უფროსი
26	ალექსანდრე მარგიშვილი	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე
27	ელგუჯა მამასახლისი	შპს „ელსელმა“-ს გენერალური დირექტორი
28	ლეილა ახმეტელაშვილი	სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის“ ადამიანური რესურსების განყოფილების დირექტორი
29	კახა ბაინდურაშვილი	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქალბატონი ქეთევან ნატრიაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს და გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

ქეთევან ნატრიაშვილი გამოვიდა ინიციატივით, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს ასევე, დამატებოდა პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ მომზადებული პრეზენტაცია პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს ახალ ფორმატთან დაკავშირებით. მან ასევე განმარტა ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრთა კენჭისყრის ხელმეორედ ჩატარების მიზეზი, რის საფუძველსაც წარმოადგენდა კენჭისყრის შედეგად არჩეული კანდიდატის, თეა გულუას წერილობითი მოთხოვნა საბჭოს წევრობიდან მოხსნის თაობაზე, რაც განპირობებული იყო მასსა და დამსაქმებელს შორის კონტრაქტით გათვალისწინებული შეზღუდვებით.

ბ–ნმა დანიელ დავითაშვილმა გამოთქვა შენიშვნა კენჭისყრის ჩატარების პროცედურებთან დაკავშირებით. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ საბჭოს წევრთა კენჭისყრის დაწყების წინ დამტკიცებული უნდა იყოს კენჭისყრის ჩატარების წესი. დანიელ დავითაშვილმა კენჭისყრაზე მოხსნა თავის კანდიდატურა და აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია, რატომ არ გახდა საჯარო იმ ელექტრონული კენჭისყრის შედეგები, რომელიც თავდაპირველად ჩატარდა და რის მიხედვითაც მან დააგროვა 8 ხმა.

დანიელ დავითაშვილმა აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას მიმართა წერილობითი მოთხოვნით, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა საბჭოს სხდომაზე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა როგორიცაა:

1. ერთიანი პროფესიული ტესტირების შედეგები;
2. პროფესიული განათლების დაფინანსების საკითხი;
3. 26 ახალი პროფესიული კოლეჯის დაარსება;
4. სასწავლო წლის დაწყების თარიღად 15 სექტემბრის დადგენა.

ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ არჩევნების შედეგები გაასაჩივრა ბატონმა დანიელ დავითაშვილმა და მისი მოთხოვნის შესაბამისადვე გაუქმდა შედეგები. უკვე გაუქმებულ შედეგებზე საუბარი არ არის მიზანშეწონილი, ასევე სასწავლო წლის დაწყების თარიღის დადგენა ეროვნული პროფესიული საბჭოს პრეროგატივა არ არის და საბჭოს ფორმატში დროის დაკარგვაა, ხოლო რაც შეეხება დღის წესრიგში საკითხების დამატებას, განმარტა, რომ საბჭოს სხდომის თემატიკა პრიორიტეტული საკითხების მიხედვით განისაზღვრა. ბატონ დანიელს რეკომენდაცია გაეწია წერილობით წარმოადგინოს მის მიერ შემოთავაზებული საკითხები მომავალი სხდომისათვის.

ქ–ნმა თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს ერთიანი პროფესიული ტესტირებისა და დაფინანსების მიდგომის ანალიზის საკითხებზე და სავარაუდოდ ეროვნული პროფესიული საბჭოს უახლოეს სხდომაზე წარადგენს შეჯამებულ ინფორმაციას. მან ასევე განმარტა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფციის ეროვნულ პროფესიულ საბჭოზე განხილვა ამ ეტაპზე უფრო პრიორიტეტულია, რადგან სხდომაზე საბჭოს წევრების მიერ დაფიქსირებული შენიშვნები, მიდგომები და რეკომენდაციები, სამუშაო ჯგუფს მისცემს იმის საშუალებას, რომ ასახოს საბჭოს ხედვა დოკუმენტში და კონცეფციის მოდიფიცირებული ვარიანტი განიხილოს მიმდინარე წლის 10 –11 ივლისს დაგეგმილ სამუშაო შეხვედრაზე.

ქეთევან ნატრიაშვილმა შესთავაზა საბჭოს წევრებს რიგგარეშე სხდომის ჩანიშვნა იმ შემთხვევაში, თუ მათთვის საინტერესო იქნებოდა ბ–ნი დანიელ დავითაშვილის მიერ ინიცირებული საკითხების განხილვა.

მასწავლებელთა სახლის წარმომადგენელმა, ნინო ქებურიამ გააკეთა პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფციის პრეზენტაცია. მისი განმარტებით, კონცეფციის პროექტი მომზადდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამის „პროფესიული სტანდარტები განათლებაში“ ფარგლებში.

ნინო ქებურიამ აღნიშნა, რომ კონცეფციის მიზნები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის შექმნას და რეკომენდაციის სახით, მიზნად ისახავს განისაზღვროს მასწავლებელთა პროფესიულ განათლებაში შესვლის გზები, პროცედურები და კატეგორიები.

ნინო ქებურიამ პრეზენტაციაში ასევე წარმოადგინა პროფესიული მასწავლებლის სამი ტიპი, რომელთა მიმართ უნდა არსებობდეს ფორმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო გამოცდილება და ა.შ. ნინო ქებურიამ ასევე ისაუბრა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა მასწავლებელთა განვითარების, კარიერული ზრდის შესაძლებლობები, რომლის სისტემაც ცალკე, დამოუკიდებელი დოკუმენტით გაიწერება და მოიცავს სავალდებულო ტრეინინგის გავლას – პრეზენტაციის უნარებს, პორტფოლიოს გაკეთებას, მენტორობას, პროფესიული კუთხით სტატიების გამოქვეყნებას, პროფესიულ გაერთიანებებში და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის მიღებას და სხვა აქტივობებს.

ნინო ქებურიამ დამსწრე საზოგადოებას შეახსნა მიმდინარე წლის 10–11 ივლისს ჩანიშნული სამუშაო შეხვედრის შესახებ, რომელიც გაიმართება ქ. რუსთავში, სადაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სოციალურ პარტნიორებთან ერთად მოხდება პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფციის არსებული ვარიანტის განხილვა.

ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ კონცეფციის წარმოდგენილი ვარიანტი ჯერ კიდევ დასამუშავებელია. შესაბამისად, უმჯობესი იქნება საბჭოს წევრებს დაეგზავნოთ არსებული ვარიანტი, რათა მათი მხრიდან მოხდეს შენიშვნების და რეკომენდაციების ასახვა, სანამ დოკუმენტზე მუშაობა დასრულდება.

შორენა ჯაფარიძემ მოითხოვა განმარტება, მოუწევდათ თუ არა იმ მასწავლებლებს, რომელებსაც აქვთ პედაგოგიური განათლება, სავალდებულო პედაგოგიური უნარების კურსის გავლა, რის პასუხადაც თამარ ქიტიაშვილმა განმარტა, რომ იმ შემთხვევაში თუ მასწავლებელს ექნება პედაგოგიური ცოდნა, ან შეძლებს მიღებული გამოცდილების აღიარებას, მას მოუწევს მხოლოდ შემჭიდროვებული კურსის გავლა, რომელიც ზოგადად, პროფესიული განათლების სპეციფიკის გაცნობას გულისხმობს.

დანიელ დავითაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ავტორიზაციის პროცედურის გასავლელად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები არ არიან მზად. მისი განმარტებით, პირველ რიგში უნდა დაიხვეწოს კანონი, ავტორიზაცია–აკრედიტაციის მუხლის გათვალისწინებით. მან ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ვერ მოახდინა პროფესიული კოლეჯების მატერიალურ–ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა, შესაბამისი სახელოსნოების აღჭურვა, არ არის ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის პროცესი დასრულებული, არ არიან დარგობრივი ექსპერტები შერჩეულნი და შესაბამისად კეთილგონივრული იქნება ავტორიზაციის ვადის ორი წლით გადადება.

დანიელ დავითაშვილის შენიშვნებს გამოეხმაურა ელენე ჯიბლაძე და გააკეთა მოკლე მიმოხილვა ავტორიზაციის პროცედურის, ჩატარებული სამუშაოებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მზაობის შესახებ. ელენე ჯიბლაძემ აღნიშნა, რომ 2014 წლის სექტემბრისათვის 9 (ცხრა) საჯარო და 17 (ჩვიდმეტი) კერძო კოლეჯს უწევს ავტორიზაციის გავლა.

ელენე ჯიბლაძემ განაცხადა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ერთობლივი მუშაობის შედეგად ჩატარდა პირველადი მოკვლევა, დადგინდა არსებული მდგომარეობა და გამოიკვეთა თუ რა ტიპის ინვესტიციაა სახელმწიფოს მხრიდან საჭირო, რათა ამა თუ იმ კოლეჯში გაუმჯობესდეს მატერიალურ–ტექნიკური ბაზა და მოვიდეს სტანდარტთან შესაბამისობაში.

ელენე ჯიბლაძემ განმარტა, რომ სახელმწიფოს აქვს გეგმა, რის მიხედვითაც სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დაწყებულია.

ასევე აღნიშნა, რომ სამივე სტანდარტთან მიმართებაში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებსა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს შორის მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, როგორც ინდივიდუალური ისე გაერთიანებული სამუშაო შეხვედრებისა და ტრეინინგების სახით. ტრეინინგები ტარდებოდა, როგორ საჯარო, ასევე კერძო კოლეჯებისთვის. ორი კვირის განმავლობაში, სახელმწიფო კოლეჯებში განხორციელდა ცენტრის თანამშრომლების ვიზიტი და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან კონსულტაციის საფუძველზე, მოხდა საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად სილაბუსების დამუშავება, ჩასწორება და მოდიფიცირება.

ელენე ჯიბლაძემ განუმარტა დამსწრე საზოგადოებას, რომ ექპერტთა დაკომპლექტების პროცედურა რამდენიმე თვეა გრძელდება, 70 კანდიდატიდან შეირჩა 30, რომელთა საბოლოო გადარჩევაც ტრეინინგების შემდეგ მოხდება. ტრეინინგებში ჩასმულია სიმულაციის მოდული, რაც ნიშნავს, რომ ერთ–ერთი კოლეჯის მაგალითზე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლის თანხლებით, ექპერტთა ჯგუფი განახორციელებს ვიზიტს და მოამზადებს სამაგალითო დასკვნას. ელენე ჯიბლაძის განმარტებით, 20 ივლისისათვის უკვე დადგინდება ავტორიზაციის ახალი საბჭოს შემადგენლობა.

ირაკლი პეტრიაშვილმა მოითხოვა იმ კრიტერიუმების დასახელება, რის მიხედვითაც ხდება ავტორიზაციის საბჭოს წევრის შერჩევა.

ელენე ჯიბლაძემ აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ მნიშვნელოვანია ავტორიზაციის საბჭოს წევრი იყოს პროფესიულ განათლებაში ჩართული კომპეტენტური

პირი, კერძო ან საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი ან დარგის ექსპერტი. მან აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოხდება ასევე საბჭოს წევრების გადამზადება.

ელენე ჯიბლაძის მოსაზრებით, ავტორიზაციის პროცედურა არის მექანიზმი, რის საფუძველზეც მოხერხდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეალური მდგომარეობის დადგენა, ცენტრის მიერ ხარვეზების აღმოჩენა და შესაბამისად, ავტორიზაციის პროცედურის ფარგლებში კოლეჯებისათვის პრობლემების გადაჭრის გზების შეთავაზება.

ელგუჯა მელაძემ დააფიქსირა მოსაზრება, რომ თუ კერძო კოლეჯებმა მოახერხეს ავტორიზაციის პროცედურის გავლა, შესაბამისად მისთვის არ არსებობს არგუმენტი, საჯარო დაწესებულებებისთვის ავტორიზაციის ვადის გადადებასთან დაკავშირებით.

ირაკლი პეტრიაშვილმა წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე აღნიშნა, რომ თუკი ავტორიზაციის პროცედურა არ იქნება სადამსჯელო, მაშინ მისთვის მონიტორინგის ეს მექანიზმი მისაღებია.

ირაკლი პეტრიაშვილმა დასვა კითხვა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებით. კერძოდ, იგი დაინტერესდა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო კოლეჯების მდგომარეობით, რომლებსაც არ გააჩნიათ სახელოსნოები. შეუძლიათ თუ არა მათ ითანამშრომლონ საწარმოსთან და მის ბაზაზე შესთავაზონ სტუდენტებს საწარმოო პრაქტიკა. იქნება თუ არა ხელისშემშლელი აღნიშნული გარემოება ავტორიზაციის პროცედურის გავლისას.

სწორედ აღნიშნულთან დაკავშირებით, ქეთევან ნატრიაშვილმა განმარტა, რომ მისი ინფორმაციით არ არსებობს შეზღუდვა ამ კუთხით და კანონი არ კრძალავს მემორანდუმის ან ხელშეკრულების საფუძველზე საწარმოო პრაქტიკის შეთავაზებას საწარმოში, შესაბამისად აღნიშნული არ გახლავთ ხელისშემშლელი ფაქტორი ავტორიზაციის მიღებისთვის. განმარტებას დაეთანხმნენ ქ-ნი შორენა ჯაფარიძე და ქ-ნი ელენე ჯიბლაძე.

გიორგი შალუტაშვილმა სხდომის მონაწილეებს წარუდგინა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ ჩატარებული სამუშაოების მოკლე მიმოხილვა. მან განმარტა, რომ 2014 წლის სამოქმედო გეგმაში შეტანილია პროფესიული სასწავლებლების რეაბილიტაციის საკითხი, ამ მიზნით შემუშავდა ბიუჯეტი, მოხდა დამტკიცებული პროექტების განფასება. სააგენტოს მიერ, წლის დასაწყისში, გამოცხადდა კონკურსი, რის საფუძველზეც შეირჩა ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა ევროპისა და ამერიკის წარმატებული მაგალითების გაზიარებით, სახელოსნოების ტიპიური პროექტების შედგენა, რომელიც საფუძველი გახდებოდა მომავალი სამშენებლო-სარეაბილიტაციო პროექტებისათვის. პროექტები შედგენილია და არქიტექტურის სამსახურის შესაბამისი სპეციალისტები საკითხზე უკვე მუშაობენ.

გიორგი შალუტაშვილის განმარტებით, სახელოსნოების აშენების შემდგომ ეტაპს მანქანა–დანადგარებით აღჭურვა წარმოადგენს. ამ მიზნით, შესაბამისი ჯგუფი დამსაქმებელთან მჭიდრო კავშირის საფუძველზე და შრომის ბაზარის მოთხოვნების გათვალისწინებით ახორციელებს ბაზრის კვლევას.

გიორგი შალუტაშვილმა ასევე ისაუბრა, ახალი ნორმატიული აქტის მიღების შესახებ, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულია 2014 წლის 6 იანვრის # 41 დადგენილებით და ითვალისწინებს - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობასა და არქიტექტურულ/გეგმარებით ელემენტებს. ამ მარეგულირებელი დოკუმენტის საფუძველზე, 3 200 000 ლარიდან, რომელიც გათვლილი იყო სახელოსნოებისა და სხვა ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად, თანხის უმეტესი ნაწილი სწორედ უნივერსალური დიზაინის მოთხოვნებით გამოწვეული ხარჯის დასაფარად იქნა გაწეული.

დანიელ დავითაშვილის რეპლიკის შემდეგ, რომელიც კვლავ შეეხებოდა კოლეჯების ავტორიზაციის გადავადების საკითხს, სხდომის თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა ელენე ჯიბლაძეს, ხარვეზის დაფიქსირების შემთხვევაში მიეცემოდათ თუ არა კოლეჯებს გამოსასწორებელი ვადა ავტორიზაციის მისაღებად.

ელენე ჯიბლაძემ კიდევ ერთხელ განმარტა ავტორიზაციის პროცედურის ჩატარების აუცილებლობა და დასძინა, რომ თუ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში იქნება შეუსაბამო გარემო, ეს გახდება ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ შემოწმების შედეგად დაფიქსირდება ისეთი ტიპის ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, რომლებიც გავლენას ვერ მოახდენენ სასწავლო პროცესის ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობაზე და რომელთა გამოსწორებაც შესაძლებელი იქნება გონივრულ ვადაში, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ შესაძლოა, პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების ინტერესების გათვალისწინებით, იმსჯელოს დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხზე და იმავდროულად შუამდგომლობით მიმართოს ცენტრს, რომ გამოვლენილი უზუსტობების გადასამოწმებლად დაწესებულებაში განახორციელოს მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი.

ქეთევან ნატრიაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს და სთხოვა დაეფიქსირებინათ მოსაზრებები ავტორიზაციის გადავადების საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა, ბატონი დანიელ დავითაშვილის გამოკლებით, აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის პროცესის გადავადების აუცილებლობას ვერ ხედავენ.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ დაფიქსირდა დამატებითი შენიშვნები, ქეთევან ნატრიაშვილმა დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი „დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების

სექტორულ საკოორდინაციო საბჭოში“ ეროვნული პროფესიული საბჭოს წარმომადგენლის განსაზღვრის თაობაზე.

ქეთევან ნატრიაშვილმა გამოაცხადა საბჭოს წევრთა ფარული კენჭისყრა „დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორულ საკოორდინაციო საბჭოში“ ეროვნული პროფესიული საბჭოს წარმომადგენლის განსაზღვრის მიზნით. კენჭისყრის შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა ოთხი კანდიდატურა, რომელთა შორის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. ქეთევან ნატრიაშვილი – 1 ხმა
2. ილია კვიტაიშვილი – 1 ხმა;
3. თამარ ქიტიაშვილი – 2 ხმა;
4. ელგუჯა მელაძე – 9 ხმა.

ქეთევან ნატრიაშვილმა დაასახელა ელგუჯა მელაძე, როგორც კენჭისყრის შედეგად გამოვლენილი კანდიდატი.

ქეთევან ნატრიაშვილმა საბჭოს წევრებს შესთავაზა, დროის სიმცირის გამო, მის მიერ ინიცირებული საკითხის (პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს ახალ ფორმატთან დაკავშირებით) მომდევნო სხდომაზე განხილვა, რასაც საბჭოს წევრები დაეთანხმნენ.

ქეთევან ნატრიაშვილმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს და სხდომა დასრულებულად გამოაცხადა.